სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაური ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცლის"
ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ახლად გამოსული ისტორიული რომანი აფხაზების ცხოვრებიდან
დ. მორდოვცევისა

## ამირანის შვილნი

მთარგმნელმა, ბ-ნმა თ. სახოკიამ, შესაძლებლად დაინახა „ცნობის ფურცლის" ხელის-მომწერთ მანეთის მაგივრად 70 კაპ. დაუთმოს.
ქალაქ გარეშე მცხოვრებ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ გამოგზავნონ ფულის მაგივრად ფოსტის მარკები რედაქციაში ბ-ნ თ. სახოკიას სახელობაზე.
ვინც 30 ცალს ერთად იყიდის, „ამირანის შვილნი" თითო 60 კაპეიკად დაეთმობა.
ამასთანავე ვაუწყებთ პატივცემულ მკითხველთ, რომ „ამირანის შვილნი" გასასყიდად მარტო 100 წიგნია.

---

დრამატ. საზოგ. დროებითი თავმჯდომარე ამით იუწყება, რომ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების

## საგანგებო კრება

დანიშნულია 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში
გამგეობის ხუთ წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადეს. (5—1)

---



მალე აქედან გამგზავრების გამო
იაფად იყიდება მოლაპარაკე თუთიყუშები
იქვე ვიღულობენ
კავკასიის ნადირებს ცხოველად:
ირმებს, ჯეირანებს, შურთხებს, ჯიხვებს, გარეულ თხებს და სხვა გარეულ ცხოველთა.
მსურველნი მიჰმართავენ: მიხეილის ქუჩა, № 106, ზარამოვის სახლებში.
(12—7) ჰუგო ვინკლერი

---

## ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ
трехъ величинъ
и
## ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ
продаетъ торговый домъ
С. П. Павловъ и К°
Тифлисъ Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

## პრესები ყურძნის დასაწურეტად
სამი ნაირის ზომისა
იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.

## სავაჭრო სახლში
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
(15—11)

ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.

---

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—34)

---

## მხატვარი
## გ. გაბაშვილი
გაკვეთილებს აძლევს კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 5. მსურველთ ადრევე უნდა ჩაეწერნენ.
(10—1)

---

## ქალების
## საკვირაო სკოლაში
რომელიც არის მოთავსებული სომხის ბაზარში ფრანგების ეკლესიის პირდაპირ (პროფესიანალურ სკოლაში. ასწავლიან ყველა საგნებს და აგრეთვე ხელსაქმეს.
ხელსაქმე კვირაში ორჯელ არის ორშაბათს და ხუთშაბათს 4—6 საათამდინ. სწავლა კვირა დღეობით თერთმეტის ნახევრიდან იწყობა.
(6—1)

---

## სტუდენტი
ეძებს გაკვეთილებს და სხვასაქმეს
მოიკითხონ ავჭალის ქუჩაზე, № 9 ნაუმოვის სადგომი, ან „ცნ. ფურცლის" რედაქციაში. (6—1).

---

## ეგზამენები
ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის პირველ კლასში შემოსასვლელი
დაიწყება 23 სექტემბერს და გათავდება 25-ს. (5—3)

---

## კბილის ექიმი
ალექსანდრე სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—13)

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
## БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (v.)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ვ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჲისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ვ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ჩამობრძანება.** გუშინ დილა ადრიანად ტფილისის ყველა ნაწილს შეეტყო მოძრაობა და დილის 7 საათზე მთელმა ქალაქმა სადღესასწაულო ხასიათი მიიღო: ყველგან ბაირაღები, ყვავილები და ხალიჩა-ფარდაგები იყო გამოფენილი. სასახლის ქუჩიდან მოყოლებული რკინის გზის სადგურამდე ყველა ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. ქალები და ვაჟები, მოხუცი და ახალგაზდა ყველა ქუჩებში გამოსულიყო საყვარელი სტუმრის დასახვედრად და მისასალმებლად·

მეათე საათი იყო, როცა ბორჯომიდამ მატარებელი ტფილისის სადგურზე მოვიდა. აქ დიდი მთავარი გადმობრძანდა, მიესალმა საპატიო დარაჯს ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკიდან. მერე შებრძანდა სამეფო დარბაზში, სადაც დაუხვდნენ თავად-აზნაურობა, ქალაქის წარმომადგენელნი, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა თუ წოდებათა წარმომადგენელნი, ამქრობა და სხვანი მრავალნი.

სადგურიდან დიდი მთავარი ეტლით წაბრძანდა დიდუბის მინდვრისაკენ, სადაც ბანაკად იდგა ჯარი აღლუმისათვის დამზადებული. აქ დიდმა მთავარმა ინება ეტლიდან გადმობრძანება; შებრძანდა ცხენზე და გასწია ჯარებისაკენ. მათს უმაღლესობას თან ახლდა ამალა, მთავარ-მართებელი გოლიცინი და სხვა მრავალ-ხარისხოვანი გენერლობა.. აუარებელმა ჯარმა დიდი მთავრის მიახლოვებისათანავე შესძახა „ურა“ და მუსიკამ მისასალმებელი მარში დაუკრა ჯარის დათვალიერებამ კარგა ხანს გასტანა; დიდი მთავარი ძლიერ კმაყოფილი დარჩა ჯარებით. ჯარის დათვალიერების დროსაც იმდენი ხალხი იყო, რომ ნახევარ ვერსტზე ვერაფერი დაინახებოდა.

ჯარის დათვალიერების შეზდეგ იქვე გამართული იყო კარავი-ფანჩატური, სადაც ნადიმი იყო დიდი მთავრისათვის. ნადიმზე მოწვეული იყო 670 კაცი. ნადიმზე მრავალი სადღეგრძელო წარმოითქვა დიდი მთავრის სადღეგრძელოდ.

ნადიმის შემდეგ დიდი მთავარი ამალითურთ გამოემგზავრა დიდუბიდან მუშტაიდის ბაღზე, მიხეილისა და ბარიათინსკის ქუჩებით სასახლეში. ყველა ამ ქუჩებზე აუარებელი ხალხი იდგა და ჰდევა არსად იყო.

ყველგან ქუჩებზე დამწკრივებულნი იყვნენ ტფილისის ყველა საქალებო თუ სავაჟო სასწავლებელთა მოწაფენი, რაიც მშვენიერ სურათს წარმოადგენდა.

საღამოს მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

დიდს მთავარს ტფილისში სწორედ მეფურად დახვდნენ და არც ხალხის აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა თავის ძვირფასი და საყვარელი მშავრის ხილვისაგან.

*** **მისი იმპერატორებითი უმაღლესობის** დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის გამგზავრება ტფილისიდან განზრახულია დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე.

*** **საქართველოს ეგზარხოსი,** მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ფლაბიანე, 16 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაბრუნდა ტფილისს ქართლ-კახეთის ეპარქიიდან. ამ მოკლე ხანში ექსარხოსი კვლავ გაემგზავრება ტფილისიდან ეპარქიის დათვალიერების განსაგრძობად.

ექსარხოსთან ერთად ჩამოვიდა ალავერდის მონასტრიდან ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო კირიონი.

*** **დრამატ. საზოგადოების კრების** გაგრძელებას, რომელიც გუშინ-წინ საღამოს იყო დანიშნული, დიდძალი ხალხი დაესწრო. კრებას მოხსენდა ორი სავარაუდო ანგარიში და მოხსენება გამგეობის ორი დასისა. როგორც მკითხველებმა უწყიან გამგეობის უმრავლესობამ უარი განაცხადა დასის შენახვაზე, ხოლო უმცირესობამ მოინდომა დასის შენახვა და აქედან შესდგა გამგეობის წევრთა შორის განხეთქილება. კრებამ მოისმინა რა ორი ანგარიში ერთი მათგანი, ე. ი. უმცირესისა მიიღო და მით რა თქმა უნდა გამოაცხადა სურვილი დასის შენახვაზე.

*** **საგანგებო კრება დრამ. საზოგადოებისა.** რაკი საზოგადოებამ მოისურვა დასის შენახვა, ამიტომ უმრავლესობამ საჭიროდ დაინახა გამგეობის წევრობაზე უარის თქმა და მართლაც თავ. ვეზირიშვილმა და ბ. თურქესტანიშვილმა კრებაზედვე განაცხადეს უარი სამსახურზე, ხოლო თავ. ჯორჯაძემაც წინად გამოაცხადა უარი, ბ-ნი ვ. მანსვეტაშვილი იმ თავითვე არ დასწრებია გამგეობის კრებებს და არც არავინ იცის იკისრებს თუ არა გამგეობის წევრობას.ახლა როგორც ისმის დროებით თავმჯდომარე თ. თუმანიშვილიც აპირებს თავის დანებებასო. მაშასადამე გამგეობაში დარჩენილან მხოლოდ ორი წევრნი ბ-ნნი ნ. ხიზანაშვილი და ვ. გუნია და სამი კანდიდატი.

ამიტომ გამგეობის თავმჯდომარე თავ. ნ. თუმანიშვილს ამ თვის ოცდახუთისათვის მოუწოდებია საგანგებო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობის ხუთი წევრი.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ საზოგადოება ასე თუ ისე უპატრონებს ქართულ თეატრს და თეატრის გამგებლად აირჩევს შესაფერ პირთ

*** **ახალი დანიშნულება.** როგორც ისმის, ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ შუამავალის თანამდებობაზე, სამსახურიდან გამოსულ თავ. წულუკიძის ნაცვლად, გადმოჰყავთ რაჭის მაზრის მომრივებელი მოსამართლე ბ. ჯაყელი; უკანასკნელის ადგილზე კი დანიშნულ იქმნება თავ. ი. გ. (კიტა) აბაშიძე, რომელიც ამ ჟამად მსახურობს ტფილისის საკონტროლო პალატაში.

*** **საკომერციო სასწავლებლის საქმე.** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ტფილისის ვაჭრებს მოიწვიონ 27 სექტემბერს ტფილისის ვაჭართა საზოგადო კრება ტფილისში საკომერციო სასწავლებლის დაარსების საქმის განსახილველად.

*** **ცხენის რკინის გზის საქმე.** 21 სექტემბერს ქალაქის საბჭოს წევრთა საზოგადო კრებას სხვათა შორის წარედგინება კითხვა ცხენის რკინის გზის წარმოებისა და იმ წინადადებათა შესახებ, რომლებიც მისცა სხვა და სხვა ფირმამ. ამ წინადადებათა განსახილველად საბჭოს მიერ დანიშნული კომისია ათავებს თავის მუშაობას; ამ კომისიამ გადასინჯა ქალაქის საბჭოს მიერ ცხენის რკინის გზის საწარმოოდ შემუშავებული ხელშეკრულება და შესამჩნევად შესცვალა ეს უკანასკნელი.

— უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი კაზიმირ პეტი გაეცნო კომისიის მიერ შეცვლილ პროექტს და განაცხადა თანხმობა საქმე კომისიისაგან წარმოდგენილ პირობებით.

*** **რკინის გზის საზოგადო ბინები.** იმ აზრით, რომ რკინის გზის ღარიბ მცხოვრებთ შეეძლოთ თავიანთ შვილებს განათლება მიაღებინონ, ამ ჟამად აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს ქალაქებში, თვით რკინის გზების ხარჯზე, ორივე სქესის მოწაფეთათვის საზოგადო ბინები.

*** **ტუსაღის მოკვლა.** ლენქორანში საოლქო სასამართლოს დროებითმა განყოფილებამ გაარჩია ტუსაღის მასტი-ბაგირ-ოღლის საქმე, რომელსაც მიუსაჯეს კატორგაა როცა ტუსაღი სასამართლოდან სატუსაღოში მიჰყავდათ, მან გაქცევა დააპირა, მაგრამ ერთმა ცხენოსანმა მხლებელმა იქვე მოჰკლა·

*** **მკვლელობა.** ს. სამშვილდოს მახლობლად ნახეს სოფ. ლალის ტყის დარაჯის ს. გურჯინოვის გვამი. ის დაიკარგა აგვისტოს გასულს; 70-ზე მეტი კაცი დაეძებდა მას მთელ მის რაიონში, და მხოლოდ ამ დღეებში წააწყდნენ მის გვამს ერთი გომურის ნანგრევებში. თავსა და მკერდზე მოკლულს უნახეს რამდენიმე ტყვია, ხოლო მარჯვენა ბეჭი გახეთქილი ჰქონდა ნაჯახით. მოკლულისათვის ბოროტ-გამზრახველთ წაურთმევიათ თოფი და მოვერცხლილი ხანჯალი. მკვლელები ჯერ ვერსად აღმოუჩენიათ.

*** **ქვების სროლა.** 15 სექტემბერსაც მთელი დღის განმავლობაში ბ. ლონგოს ეზოში ისევ ცვიოდა ქვები. ეზოში იყო პოლიციის ბოქაული და პოლიციელები უწინდებურად დარაჯობდენ, მაგრამ ქვების სროლის მიზეზი ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევიათ.

*** **ცეცხლის წაკიდება.** 15 სექტემბერს, გორიდან 5 ვერსის მანძილზე, ატენის სადგურზე (ა. მ. ზეზემანის ვიწრო-ლიანდაგიან რკინის გზაზე) ცეცხლი წაეკიდა ხის დეპოს. რომელშიაც მოთავსებული იყო შესაკეთებელი ორთქლ-მავალები და ვაგონები. დეპო მთლად გადიბუგა, თუმცა მიღებულ იქმნა საჭირო ზომები. დეპოში იმყოფებოდა 15,000 მანეთად ღირებული ორთქლ-მავალი, რომელიც აგრეთვე დაიწვა.

*** **ნავთის მილები.** ეს რამდენიმე თვეა შეჩერებულია მუშაობა ნავთის მილებზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგ. ხაშურსა და ბათომს შუა, იმის გამო, რომ რამდენიმე ათასი მილი უვარგისი გამოდგა. ამ მილების უვარგისობის და მათი გამოყენებისათვის საჭირო ხარჯის განსასაზღვრელად ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელიც 15 სექტემბერს გაემგზავრა ტფილისიდან ძირულის სადგურზე, სადაც დაცხობილია ხსენებული მილები.

*** **შეცდომის გასწორება.** ბ-ნ მ. ზაალიშვილის ბოტანიკაში (იხ. „ცნ. ფურც." № 627) შეცდომები გაპარულა და „цвѣтотжока"-ს მაგიერ უნდა იყოს цвѣтоножка, цвѣтолофе-ს მაგიერ цвѣтоложе; „чашешникъ"-ის მაგიერ чашелистикъ; лепеотки-ს მაგიერ лепестки და зубщы-ს მაგაიერ зубцы.

*** **შემომწირველთა საყურადღებოდ.** ამას წინად „ცნ. ფურ."-ის მე-626 №-ში იყო დასტამბული ს. ალიდან კორესპონდენცია სამკითხველოს შესახებ, რომელშიაც არის მოხსენებული შემდეგი ადრესი: На ст. Гоми, завѣдывающему Альской читалней, священнику Исидору Мачарашвили. ამ ადრესით საგანგებო ამანათების გამოგზავნა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც სადგურებზე საგანგებო წერილები არ იგზავნება, გარდა უბრალო კორესპონდენციებისა და გაზეთებისა, ამისათვის ვსთხოვ ყველა გულ-კეთილ შემომწირველთ, გამოგვიგზავნონ თავიანთი წვლილი შემდეგის ადრესით: Въ м. Михаилово, завѣдыв. Альской читальней, священнику Исидору Мачарашвили.

გამგე წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი მღვდ. ი. მაჭარაშვილი

*** **საღ. გომი** (ქართლი). საკვირველი ამბავი. ამას წინად მოხდა აქ ერთი სასაცილო, (თუმცა სამწუხაროც კია) ამბავი. გოგატიშვილის დუქანში ქეიფობდნენ, რამოდენიმე ყმაწვილი კაცი, მათ შორის ყმაწვილი ბახტაძეც, ამ ქეიფის დროს შევიდა იმავე დუქანში, ერთი სუსტი არსება, რომელიც თურმე ბახტაძეს ყვარებია; ბახტაძემ უთხრა ქალს: „მიყვარხარო", ქალმა უპასუხა: „არ დავიჯერებ და არც არა გეტყობარა ჩემი სიყვარულისაო". ამ სიტყვაზე, ბახტაძემ იძრო რევოლვერი, და დაიძახა: „აი დაგიმტკიცო, რომ მიყვარხარო". იგრიალა რევოლვერმა და შიგ მუცელში ჩაიცა, რომლითაც, ერთი გვერდიდან მეორეში გაახედა. სხვებს, ხუმრობა ეგონათ და იმიტომ არავინ მიეშველა; დაიჭრა მძიმეთ, მოაშველეს მაშინათვე ცნობილი ექიმი თურმანიძე; მას გამოუღია ტყვია. დაჭრილი დღესაც ლოგინათ წევს და ვნახოთ მორჩება თუ მოკვდება. სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს აბა რა ეშმაკია?!.

შორებელი

*** **დ. ოჩამჩირე** (ფსხზეთი). მადლობის გამოცხადება. მე ჩემის მხრით და მ. გუნია-თურქიას მონდობილობით უგულითადესს მადლობას ვუცხადებ, ვინც 19 ივლისში გამართულ ქართულ წარმოდგენა „და-ძმაში" მონაწილეობა მიიღო და მით დახმარება აღმოუჩინა ახალგაზდა სტუდენტს გ. ზუხუმაიას. ხარჯის გარდა წმინდა შემოსავალი 78 მ. და 13 კ. დარჩა, რომელიც გ. ზუხუმაიამ მიიღო. კვლავ უგულითადესს მადლობას მოვახსენებ ამ წარმოდგენის სულის ჩამდგმელთ და მოკეთეებთ: ქ-ნთ მაკრინე სვიმონის ასულ თურქიას, რომელიც სოხუმიდან ამ წარმოდგენისთვის გვესტუმრა და წარმოდგენაში მონაწილეობას მიღების გარდა საკუთარ ფულით, თუ ბილეთების გაყიდვით დიდი შემწეობა აღმოგვიჩინა, აგრეთვე მაშო თურქიას, თავ. კოტე აბაშიძეს, სვიმონ მესხს, გიორ. აბაშიძეს, გიგო ოჩამჩირელს, გიორ. კაჭარავას, გრ. მახარაძეს, ან. მდივანს და სხ. აგრეთვე პ. პ. ზაიცევს და მასწავლებელს ნ. ლაღარიას, რომელთაც სცენის მოწყობა იკისრეს, მხოლოდ პ. ზაიცევმა ფარდულისთვის საჭირო ლურსმანი და სხვა წვრილმანი მასალა საკუთარის ხარჯით იკისრა. ივანე გეგია და აკაკი ჩხენკელს, რომლებმაც ფარდა-დეკორაცია უსასყიდლოთ გვათხოვეს, გიგო თურქიას, რომელმაც ფარდულის ასაშენებლად ეზო დაგვითმო და დახმარებაც აღმოგვიჩინა. დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე პატივცემული საზოგადოება, რომელმაც სრული თანაგრძნობა გამოიჩინა. ზოგიერთებმა ფულადაც შესწირეს, მაგალ. სპირ. ნარაკიძემ ბილეთები იყიდა და სხვას დაურიგა... მადლობის ღირსია ბათომიდან გამოწერილი პარიკმახერი არსენა, რომელმაც მცირე სასყიდელი აიღო...

წარმოდგენის გამგე კ. გვასალია

## რედაქციისაგან

**ქუთაისში.** ვ ა რ ლ ა მ რ უ ხ ა ძ ე ს. შეგვატყობინეთ რა ადრესით გამოგიგზავნოთ, რასაც გვთხოვთ.

## თეატრის მატიანე

**ს. ლეხოური** ქართული წარმოდგენა. შვიდს და რვას ენკენისთვეს აქ გაიმართა წარმოდგენა ვ. ურუშაძის თაოსნობით ერთი ღარიბი მოსწავლე ქალის სასარგებლოდ. პირველ დღეს წარმოდგენილ იყო „მონადირე" 1 მოქ. ვ. გუნიასი, „ბნელ ოთახში" ჩიქოვანისა. „შეშლილის წერილები" გოგოლისა. ბოლოს დივერტისმენტი. მეორე დღეს, დღისით წარმოდგენილ იქმნა „რაც არ მერგება, არ შემერგება" 1 მოქ. ვ. გუნიასი. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ბბ. ურუშაძე და ქეიშვილი, რომლებმაც ჩინებულად შეასრულეს თავიანთი როლები და საზოგადოებაც დიდად ასიამოვნეს. კარგი იყო სცენა ბ. წუწუნავას მიერ წაკითხული. ქალები ცოტას სუსტობდნენ. შეშლილის წერილები კარგად წაიკითხა ვ. ურუშაძემ. ბოლოს ქეიშვილმა წაიკითხა ლექსი და რამოდენიმე სცენები ვ. ურუშაძემ. მეორე დღის წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ბბ. ურუშაძე, დუმბაძე და ძმა წუწუნავები, წარმოდგენამაც ჩინებულად ჩაიარა. ორსავე წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, მხოლოდ შემოსავალი კი ცოტა დარჩა. ეს იმის ბრალი იყო, რომ დარბაზი უბილეთოებით აივსო.

დიდი მადლობის ღირსია ბ. ვ. ურუშაძე, რომელიც არ ზოგავს ძალ-ღონეს და ყოველთვის მზათ არის საქველ მოქმედო აზრით წარმოდგენა გამართოს, აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან: ბბ. ქეიშვილი, რომელიც საკუთარ თავის საქმეს სტოვებს და საქველმოქმედო წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს და გ. ბებურიშვილები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ბილეთის გაყიდვაში და სცენის მოწყობაში.

მ. ლეხოურელი

## სამეცნიერო ცნობა

### მასალა ქართული ბოტანიკისთვის *)

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

შეიძლება ხელოვნურადაც გამოვიწვიოთ ჩვენ მეორე ხარისხოვანი ფესვები; აიღეთ, მაგალითად, იფნი, ტირიფი ან ვაზის რქა და ნესტიან ზენიადაგში ჩაფალით ისე, რომ ერთი ან ორი კვირტი მიწის ზევით დარჩეს; რქას რამდენიმე ხნის შემდეგ გამოუვა მეორე ხარისხოვანი ფესვები; ეს გარემოება ჩვენმა ხალხმაც კარგად იცის; როცა ვენახის გაშენებას აპირებენ, ჯერ მიწას კარგად ხნავენ, მერე რქას ჩაურიან ხოლმე ადრე გაზაფხულზე და შემდეგ რომ მიწა ნესტიანი იყოს, თვეში ორჯერ სამჯერ რწყავენ მიწას; თუ ასე კარგად მოუარეს ახალშენს, მაშინ თითქმის ყველა რქა ხარობს, ესე იგი იკეთებენ მეორე ხარისხოვან ფესვებს და სწოვენ დედამიწიდან მინერალურ საკვებავ ნივთიერებას, აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთი მცენარე სრულებით არ შეიძლება გამრავლდეს ისე, როგორც ვაზი და ტირიფი, ესე იგი რქით ან ყლორტით (черенокъ).

არიან ისეთი მცენარენი, რომელთაც ფესვები მიწაში არ აქვთ ჩაშვებული; იმ მცენარებს, რომელიც წყალში ცურავენ, ფესვები წყალში აქვთ და დედამიწამდის არ ჩადიან; ზოგიერთი მცენარე ფესვებს სხვა მცენარეში უშვებს და აქედან იღებს თავის საკვებავ ნივთიერებას; იმ მცენარეს, რომელზედაც ზის მუქთა-მჭამელა (паразитъ) მცენარე, უწოდებენ პატრონს (хозяинъ) მაგ. ფითრი (омела) არის მუქთა-მჭამელა და მსხალი კი, რომელზედაც არის ხოლმე ფითრი, იქნება პატრონი. მუქთა-მჭამელა მცენარე აცლის თავის პატრონს საკვებავ ნივთიერებას და ასუსტებს მას.

ღ ე რ ო. ღერო არის ორგანო, რომელზედაც ჩვენ ვამჩნევთ ფოთლებს და კვირტებს. სუყველა ღერო ბოლოში თავდება კვირტით, რომლითაც შემდეგში გრძელდება. იქ, სადაც ღეროზე მიბმულია ფოთოლი, ცოტათი ღერო სქელდება; ამ ადგილს ღეროსას უწოდებენ კვანძს (узелъ) კვანძსა და კვანძს შუა ღეროს ნაწილს უწოდებენ მუხლს (междоузліе). ღერო შეიძლება იყოს ბალახოვანი, ანუ ხისა; ხის ღეროს შეიძლება დავარქვათ ხეღერო; ნორჩ ღეროზე ფოთლები ძლიერ ახლო-ახლო სხედან და მაშასადამე მუხლები მოკლეები არიან. იმ ღეროს, რომელიც შთანასახიდან გამოდის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, შთანასახის კვირტიდან უწოდებენ პირველ ხარისხოვან ღეროს (первичный, главный); გარდა იმ კვირტისა, რომლითაც პირველ ხარისხოვანი ღერო თავდება, ღეროზე, სუყველა ფოთლის იღლიაში (пазуха) ადვილად შევამჩნევთ კვირტს, რომელიც მეორე გაზაფხულზე იზრდება ყლორტად (побѣгъ); ყლორტი შემოდგომამდე იზრდება, და თუ მრავალ წლოვანი მცენარეა, ხევდება, გახევებულ ყლორტს ვუწოდებთ კეწეწს (вѣточка); კეწეწს აქვს ბოლოზე კვირტი, და გარდა ამისა იქ, სადაც ისხდნენ ფოთლები ერთწლოვან კეწეწს ხმაობენ სამუნობათ, რადგანაც მაზედ კვირტებია, რომლებიც შემდეგ ყლორტებათ იქცევიან; აგრეთვე, გახევებულ ვაზის ყლორტებს, რომელსაც ჩვენში „რქას" უწოდებენ, სჭრიან ვაზებს შემოდგომაზე ანუ გაზაფხულზე, სხვლის დროს (подрѣзка) და აშენებენ ვენახს; საკმარისია, რომ რქის ხუთი-ექვსი კვირტი მიწაში იჯდეს და ერთი ან ორი კვირტი მიწას ზევით იყვეს, რომ ასეთმა რქამ იხაროს; არიან ისეთი მცენარეები, გარდა ვაზისა, რომლებიც შეიძლება ყლორტებით გამრავლდნენ, მაგ. ვერხვი, იფანი (ива), მოცხარი (смородина), ვინკრუჭა (крыжовникъ) და სხვა.

მ. ზაალიშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 631.

## სასოფლო ცნობა

—

ბადრიჯნის შენახვა ზამთარში ორ გვარად შიძლება. გახმობა ჩვენში ყველგან იციან, ნედლათ შენახვა კი იშვიათია. ნედლი ბადრიჯანი ასე უნდა შეინახოთ: ამოთხარეთ სარდაფში ორმო, ჩაყარეთ ერთი პირი ქვიშა, ჩააწყვეთ ბადრიჯანი ერთ პირად მწკრივად, მერე ერთი პირი ქვიშა დააყარეთ, რომ სულ დაჭვარლოს ქვემოთი წყობა. ამ ქვიშაზე ჩააწყვეთ კიდევ ერთი პირი წყობად ბადრიჯანი, შემდეგ დააყარეთ ქვიშა. ასე ამ გვარად რამდენიც გინდოდეთ თითო პირი ბადრიჯანი დააწყვეთ, თითო პირი ქვიშა დააყარეთ. ზემოდამ კიდევ ბოლოს ქვიშა უნდა ეფაროს. ჩაწყობის დროს ბადრიჯანი უნდა გაარჩიოთ, რომ დამჭკნარი, ან დამპალი არ იყოს. ამ გვარად შენახული ბადრიჯანი დიდხანს ინახება ახალსავით. შეიძლება მიწის ორმოს გარდა ყუთშიაც ასევე შეინახოთ, როგორაც ზემოთ ვთქვით. სარდაფში კი უნდა დადგათ და ყუთში ქვიშა ნაპირებზედაც ეყაროს, რომ ბადრიჯანი ფიცარს არ მოხვდეს. მიწაში ჩააწყობთ, თუ ყუთში, ბადრიჯანი ისე უნდა ეწყოს, რომ ერთმანეთს არ ეკარებოდეს, შიგა და შიგ ქვიშა ჰქონდეს და გარშემოც.

კომბოსტოს შენახვა თუ გინდათ ზამთარში, ძირიანათ უნდა ამოიღოთ და სარდაფში დარგათ. თავები როგორც ბოსტანშია ისევე მაღლა ჰქონდეს, ძირები მიწაში ჩაფლული. ეს არის და ეს. კარგა შეინახება დიდხანს.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი

**ლონდონი.** როდესაც კიჩინერმა მიაღწია ფაშოდას, ნახა, რომ მარშანის მიერ საფრანგეთის დროშა იყო ამართული. კიჩინერმა გამოუცხადა მარშანს ვითარცა ეგვიპტეს ჯარის მთავარ-სარდალი ვალდებული ვალდებული ვარ დავიჭირო ფაშოდა, რომელიც ხედივის უფლების ქვეშ არისო. არავითარი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედება არ მომხდარა, მაგრამ მარშანმა გადაჭრილი უარი განაცხადა საფრანგეთის დროშის ჩამოხსნაზე. ამიტომ ეხლა ფაშოდაში სამი დროშაა ამართული, ბრიტანიისა, საფრანგეთისა და ეგვიპტესი. კიჩინერმა დასტოვა ფაშოდაში ბრიტანიის ჯარი და დაბრუნდა ომდურმანში. ფაშოდას შესახებ მოლაპარაკება პარიზში სწარმოებს.

**ანდერმატი.** ეგრედ წოდებულ ეშმაკის ხიდთან რუსეთის ძეგლის კურთხევა დიდს დღესასწაულად გარდაიქცა. ამ ამბავს მრავალი ხალხი დაესწრო. ძეგლს შემდეგი წარწერა აქვს: „გენერალ-ფელდმარშალის სუვოროვის თანამეომართ, 1799 წ. გარდაცვლილთა, ალპიის მთებზე გადასვლის დროს“.

**ლონდონი.** გაზეთმა „Daily News“-მა დაიწყო ბეჭდვა წერილებისა, სათაურით: „დრეიფუსის საქმის ნამდვილი მხარე“. ავტორი, რომელსაც ხელთ ჰქონია საბუთები, შემდეგს ამბობს კაზიმირ პერიეს გადადგომის შესახებ. 1894 წელს, დეკემბრის შუა რიცხვებში გერმანიის ელჩმა გრაფმა მიუნსტერმა გაუგზავნა იმპერატორს მოხსენება დრეიფუსის საქმის შესახებ. მოხსენება დაიჭირეს საფრანგეთის საზღვრებზე და თუმცა კონვერტი არ გახსნილა, მაგრამ საგანგებო სინათლის შემწეობით მოხსენების შინაარსი იქმნა გადაღებული ფოტოგრაფიით. ამ მოხსენების შინაარსი შეატყობინეს საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. რამდენსამე დღის შემდეგ ეს ამბავი შეატყობინეს ბერლინში. მიუნსტერს ბრძანება მოუვიდა პასპორტები მოითხოვოს. ამიტომ მიუნსტერი 1895 წლის 1 იანვარს მივიდა ელისეს სასახლეში. პერიემ არაფერი იცოდა, სთქვა, მე აქ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ყოველგვარ ღონისძიებას მოვიხმარებ, რომ ამ გვარი ამბავი აღარ მოხდესო. მიუნსტერი ცდილობდა, რომ იმპერატორი დაკმაყოფილებული ყოფილიყო ამ განმარტებით და იმავე საღამოს შეატყობინა იმპერატორს ამ ლაპარაკის შინაარსი. ეს მოხსენებაც ხელთ იგდეს და ფოტოგრაფიით გადიღეს. 12 იანვარს მიუნტერი მივიდა ელისეს სასახლეში და განაცხადა, რომ გერმანია იმ წამსვე სამხედრო ფეხზე დააყენებს თავის ჯარს, თუ დაუყოვნებლივ არ იქმნა დაკმაყოფილებული, პერიემ სთხოვა, გადაეცით იმპერატორს, რომ მე თითონ დავაკმაყოფილებ იმპერატორს სამსახურიდან გადადგომით, რათა ამ გვარად უარ ვყო ასეთი საძრახისი საქციელი. ამით აიხსნება შემდეგი სიტყვები პრეზიდენტისა: „ვანებებ რა თავს ჩემს თანამდებობას, ამით იქნება დავანახვო მათ, ვინც მოვალეა იზრუნოს საფრანგეთის კეთილ სახელისა და პატივცემის დაცვისათვის მთელის ქვეყნის წინაშე, რაში მდგომარეობს იმათი ვალი.

**პეკინი.** გამოცხადებულ იქმნა ბრძანება, რომლითაც გაუქმებულია იმპერატორის უკანასკნელი რეფორმები.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოში, რომელიც ფორის თავმჯდომარეობით მოხდა, სარიენმა წაიკითხა წერილი, რომლითაც სთხოვს მთავარ-პროკურორსა და საკასაციო სასამართლოს ხელ-მეორედ იქმნას განხილული დრეიფუსის საქმეო. სარიენმა თან დასძინა რომ ჯარის წინააღმდეგ ლაპარაკსა და ჯარის გაკიცხვას ბოლო უნდა მოეღოსო.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა უარი განაცხადა იმ დელაგაცის მიღებაზე, რომელმაც მოიტანა გარდაწყვეტილება მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა, რომელნიც ერთად შეიკრიბნენ და 130 კაცის სახელით დაადგინეს— სამინისტროს გამოეცხადოს საყვედური და პრეზიდენტს მოვთხოვოთ პარლამენტის მოწოდებაო. მიზეზი დელეგაციის მიუღებლობისა ის არის, რომ ამ თხოვნას საკონსტიტუციო ხასიათი არა აქვს.

**სტამბოლი.** რუსეთისა, საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის კაბინეტებმა დაადგინეს მისწერონ ოსმალეთს—კრიტის კუნძულიდან ჯარი წაიყვანე და აქაურ მაჰმადიანებს ჩვენ გავუწევთ მფარველობასაო.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ კომისიისაგან ინდოეთიდან მოსულ ცნობებიდანა სჩანს, რომ შავი ჭირი ბომბეიში მატულობს: 4 ივლისიდან 10 ივლისამდე ავად გახდა 433, გარდაიცვალა—307. 27 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ავად გახდა 3,112, გარდაიცვალა 2,238. ბომბეიში 5 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე ავად გახდა 205 კაცი, გარდაიცვალა 173. კალკუტაში 7 კაცი გახდა ავად და 7 გარდაიცვალა.

## განცხადებანი


იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ეპისკოპოსი 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი, მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—12)

ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ემლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „УРБЭНЪ“

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—39)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—45)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია